საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N626 2014 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის თანდართული დებულება.

მუხლი 2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილება „საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 3. საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2014 წლის 19 ნოემბრის
№626 დადგენილებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შექმნილია საქართველოს მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებითა და ამ დებულებით.

3. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას აქვს ბეჭედი საქართველოს გერბის გამოსახულებით, საკუთარი ბლანკი და ანგარიში ხაზინაში.

4. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელია - ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის პირობების შექმნას;

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის ხელმძღვანელობის, საქართველოს კონსტიტუციის და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე მთავრობის საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრისა და აღნიშნული საქმიანობის ორგანიზების ხელშეწყობას;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის სხვა წევრების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზებას;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის სხდომების მოწვევისა და ხელმძღვანელობის ორგანიზებას, საქართველოს მთავრობის სხდომების მომზადებას საქართველოს მთავრობის რეგლამენტით დადგენილი წესით;

ე) საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებათა პროექტების მომზადებასა და სამართლებრივ ექსპერტიზას;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემისა და მთავრობის შენობაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების ორგანიზებას;

ზ) სამთავრობო პროგრამისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, მთავრობის ყოველწლიური ამოცანებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

თ) მთავრობის ყოველწლიური ამოცანებისა და პრიორიტეტების შესრულების მიზნით, სამინისტროებიდან და სახელმწიფო მინისტრების აპარატებიდან მათ მიერ დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის (ნუსხის) გამოთხოვას;

ი) ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მთავრობის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენას და

მისი შესრულების კონტროლს;

კ) სამთავრობო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას და მათი შესრულების კონტროლს;

ლ) საქართველოს პარლამენტის მოთხოვნით, სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ანგარიშის მომზადებას და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ორგანიზებას;

მ) საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობის ინფორმაციულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფას;

ნ) საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვას, მონიტორინგს, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის დანერგვას და მათ მუდმივ გაუმჯობესებას;

ო) სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელების თაობაზე წინადადებების შემუშავებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას, მათი განხორციელების ხელშეწყობასა და მონიტორინგს;

პ) აღმასრულებელ ხელისუფლებაში განსახორციელებელი ინსტიტუციური რეფორმების თაობაზე წინადადებების შემუშავებას და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას;

ჟ) კვარტალში ერთხელ მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შეჯამებასა და შესაბამისი დასკვნის საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას;

რ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ურთიერთობას არასამთავრობო სექტორსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან;

ს) ადგილობრივი და უცხოელი აუდიტორიის ინფორმირებას საქართველოს, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ;

ტ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ურთიერთობას საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს პარლამენტთან, სახელმწიფო დაწესებუ-

ლებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და სხვა ინსტიტუტებთან;

უ) განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის თვალსაზრისით საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადებას, რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავებას და სამიზნე აუდიტორიასთან საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლობას;

ფ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საპროტოკოლო ღონისძიებათა განხორციელებასა და კოორდინაციას;

ქ) სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული ან/და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობას;

ღ) მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული ან/და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სხვა დაწესებულებების, ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ანგარიშების, მოხსენებების გამოთხოვას;

ყ) სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული ან/და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების განვითარების სტრატეგიული გეგმების გამოთხოვას, ანალიზს, დასკვნისა და

რეკომენდაციების შემუშავებას და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას;

შ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ რეგიონული პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციის გაწევისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საქართველოს მთავრობის ურთიერთობის ხელშეწყობას;

ჩ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას;

ც) საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას;

ძ) მინისტრების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების, სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელთა და სახელმწიფო რწმულებულის - გუბერნატორის სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ დასკვნების მომზადებას;

წ) საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის სახელზე შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის სფეროში საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობას;

ჭ) საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს; საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელზე შემოსული კორესპონდენციის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შემთხვევაში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსაგან განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას, ანალიზსა და შესაბამისი დასკვნის მომზადებას;

ხ) საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლობას;

ჯ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნისათვის „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას;

ჰ) საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანოების სხდომების გამართვის, განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის პროექტების მომზადებას;

ჰ[1]) საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანოების - კომისიებისა და საბჭოების საქმიანობის კოორდინაციას, მონიტორინგსა და ხელშეწყობას;

ჰ[2]) საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოების - ეკონომიკური საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატების ტექნიკურ-მატერიალურ, იურიდიულ, ფინანსურ და სხვა სახის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას;

ჰ[3]) საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას, ტექნიკურ-მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფას;

ჰ[4]) „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობას;

ჰ[5]) საზღვარგარეთის ქვეყნების უფლებამოსილი ორგანოების, სააგენტოებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (შემდგომში - დონორები) დახმარების ეფექტურ კოორდინაციას; მათი ძალისხმევისა და რესურსების მიმართვას სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ საკითხებზე;

ჰ[6]) ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე საგარეო (დონორების) დახმარების, აგრეთვე საჭიროებებისა და ინიციატივების გამოვლენისა და სახელმწიფო პრიორიტეტებთან დაკავშირებული დახმარების საჭიროებების კონსოლიდაციის მიზნით დონორთა

პროგრამულ კომპონენტებზე მონაცემების შეგროვებას დონორებისაგან, სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრების აპარატებისაგან; მიღებული ინფორმაციის ანალიზს და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას;

ჰ[7]) საქართველოს მთავრობისა და დონორების ერთობლივი, მაღალი დონის საკოორდინაციო ფორუმისა და სექტორული საკოორდინაციო ჯგუფების მუშაობის წარმართვას, საორგანიზაციო მომსახურებას და ანალიტიკურ უზრუნველყოფას;

ჰ[8]) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ჰ[9]) ელექტრონული მმართველობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრას, ამ სფეროში სახელმწიფო უწყებათა საქმიანობისას წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიკაციას, სათანადო სამოქმედო გეგმების დასახვას, ელექტრონული მომსახურების განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციების მომზადებას და სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის კოორდინაციას ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროცესში;

ჰ[10]) აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან, ევროპულ სამართალთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

ჰ[11]) საგარეო რისკების ანალიზისა და საგარეო პოლიტიკის შემუშავების მიზნით შესაბამის უწყებებთან კოორდინაციას;

ჰ[12]) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და წარმომადგენლობებთან კომუნიკაციას;

ჰ[13]) უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას, მათთან გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას;

ჰ[14]) საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის სწორად პოზიციონირებისა და თანმიმდევრული და მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობას;

ჰ[15]) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ანალიზსა და მონიტორინგს; საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად შემუშავებული ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში მომზადებული შუალედური ანგარიშების საფუძველზე სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ მონიტორინგს, გეგმის შესრულების კოორდინაციას, სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების ეფექტური შესრულებისათვის სათანადო ცვლილებების მომზადებას, საქართველოს პარლამენტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენი ანგარიშების მომზადებას; საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმირებას ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ;

ჰ[16]) მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის ამსახველი ინფორმაციის მომზადებასა და განხილვის ორგანიზებას;

ჰ[17]) საზოგადოების ინფორმირებას დაგეგმილი და მიმდინარე სამთავრობო პროექტების თაობაზე;

ჰ[18]) მთავრობის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელში მთავრობის გვერდის ადმინისტრირებას;

ჰ[19]) დოკუმენტების მიღებას, დამუშავებასა და მათთან დაკავშირებულ დავალებათა შესრულებას;

ჰ[20]) ცალკეული ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციის, საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვასა და მიღებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჰ[21]) სამინისტროების სისტემაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებიდან/ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის;

ჰ[22]) საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელების ორგანიზებასა და გადაწყვეტის ხელშეწყობას;

ჰ[23]) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 3. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურა

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი;

ბ) ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტი;

გ) იურიდიული დეპარტამენტი;

დ) საფინანსო დეპარტამენტი;

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

ვ) რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი;

ზ) ელექტრონული მმართველობის განვითარების დეპარტამენტი;

თ) მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტი;

ი) პროტოკოლის სამსახური;

კ) განათლების საერთაშორისო ცენტრი (სამსახური);

ლ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური).

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებში ქვედანაყოფის სახით შეიძლება შეიქმნას სამსახური ან/და სამმართველო.

მუხლი 4. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას უძღვება საქართველოს მთავრობის ად-

მინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით.

3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებას, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს;

გ) განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის უფლება-მოვალეობებს;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, ასევე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სპეციალურ წარმომადგენელს, მრჩეველს ან/და თანაშემწეს, რომელიც მისი დავალებით უზრუნველყოფს ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილების პროცესის კოორდინირებას და შესაბამისი წინადადებების საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას;

ვ) ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით ახორციელებს მათ წახალისებასა და მათ მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენებას;

ზ) განკარგავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფინანსურ სახსრებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას; ასევე ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში;

ი) ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტაციას; სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ და, კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გამოდის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელით;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დელეგირების უფლებით გადასცეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს.

მუხლი 5. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც/რომლებსაც ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ამ სტრუქტურული ერთეულის დებულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებათა შესაბამისად უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის საქმიანო-

ბას, პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა კანდიდატურებს;

გ) ამზადებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტს, განსაზღვრავს თანამშრომელთა სამსახურებრივ უფლებამოსილებებს და უზრუნველყოფს მათი შესრულების კონტროლს;

დ) ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ე) უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, საჭირო დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.